ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2815284

ნომერი: AR1436590

თარიღი : 02.09.2016

გაცემის თარიღი : 05.09.2016

გაცნობის თარიღი : 05.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ივანე თარხნიშვილის ქუჩა N2 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მელიქიშვილი , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბერიძე პ/ნ 01026009176
- დოლიძის ქ. 7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1436590 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ივანე თარხნიშვილის ქუჩა N#2 და მელიქიშვილის ქუჩა N#10 არსებული მიწის ნაკვეთების (საკ. კოდი N#01.15.02.006.014 და საკ. კოდი N#01.

15.02.006.012) საზღვრების კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-104 დადგენილებით დამტკიცებული ს.ს.ი.პ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე–2–3 მუხლების თანახმად, სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით კორექტირების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის საზღვარი კვეთს არსებულ შენობა–ნაგებობას თქვენს და მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:№01.14.16.009.101)(იხ.დანართი). ასევე ტოპოზე არ არის დატანილი ტერიტორიაზე არსებული სერვიტუტი და ელ.ქვესადგურის წითელი ხაზი სცილდება არსებული ნაგებობის კონტურს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან კორექტირება შესაძლებელია მხოლოდ მიმდებარე რეგისტრაციების გათვალისწინებით და არსებული მყარი ნაგებობის კონტურის გათვალისწინებით, სასურველია სამივე მიწის ნაკვეთი (ს.კ.N#01.15.02.006.014, ს.კ. N#01.15.02.006.012 და ს.კ. N#01.15.02.006.003) დაკორექტირდეს არსებული მყარი ნაგებობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე გთხოვთ მოიყვანოთ კორექტირებული საზღვრები ქალაქგემარებით ნორმებთან შესაბამისობაში. ამასთანავე ნოტარიულად დამოწმებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი მთაწმინდის რაიონში, ივანე თარხნიშვილის ქუჩა N2 კორპუსის მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირების თაობაზე 2/3 თანხმობით. აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ სამსახური განმეორებით განიხილავს საკითხს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.